ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანების საფუძველზე „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი საკონკურსო კომისიის” სხდომის N3 ოქმი

ქ.თბილისი **14.03.2015**

სხდომა დაიწყო: 11:30 სთ-ზე სხდომა დასრულდა: 14:30 სთ-ზე

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანებით განსაზღვრული „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი კომისიის“ მესამე სხდომა ჩატარდა 2015 წლის 14 მარტს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდ“-ში, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 48.

სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსის - **ნინო კორძახიას** ინიციატივით, კომისიის წევრებისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდნენ 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანებით განსაზღვრული „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი საკონკურსო კომისიის“ შემადგენლობის შემდეგი წევრები:

კომისიის თავმჯდომარე: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსი - **ნინო კორძახია;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარის მრჩეველი - **არჩილ ბარბაქაძე;**

კომისიის წევრი:ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარის თანაშემწე - **დავით ნიჟარაძე;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გიორგი მაღრაძე;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარის აპარატის უფროსი - **დავით ავლოხაშვილი;**

კომისიის წევრი: „მასიმო მარიანი სტუდიო“-ს ხელმძღვანელი - **იური სვანიძე** (მოწვეული ექსპერტი).

კომისიის წევრი: „გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი“-ს თანამშრომელი - **გიორგი ჭანიშვილი.**

აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი **-სალომე სირბილაძე.**

აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ იურისტი - **სალომე სართანია;**

კომისიის სხდომა გახსნა და ხელმძღვანელობდა ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე - **ნინო კორძახია.**

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს იურისტს - **სალომე სართანიას.**

დღის წესრიგი:

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებაზე (პროექტი) დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესასყიდად გამოცხადებულ N1501 კონკურსში კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება და საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

კომისიამ განიხილა:

1.კომისიის თავმჯდომარემ - ნინო კორძახიამ მოახსენა კომისიას, რომ კონკურში წარმოდგენილ იქნა ერთი კონკურსანტის - შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“-ს საკონკურსო წინადადება.

2. კომისიის წევრებმა წარმოადგინეს ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ. (დანართი N1).

3. კომისიის წევრებმა, ნინო კორძახიამ, იური სვანიძემ, გიორგი ჭანიშვილმა შესთავაზა კომისიას, რომ მოხდეს კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადების დაზუსტება, კერძოდ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოიცავს თუ არა საკონკურსო პირობების ტექნიკურ დავალებასა და გასაწევ მომსახურებაში განსაზღვრულ შემდეგ მოთხოვნას: „თბილისის ისტორიულ ნაწილში ზონების განსაზღვრა და ამ ზონებში გასატარებელი ღონისძიებების სახეობების შემუშავება (დასაშვები-რეკომენდირებული, როგორც კულტუროლოგიური, ისე საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით)“ .

4. კომისიის წევრმა, იური სვანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების გრაფიკსა და პროექტის ბიუჯეტში განსაზღვრული ვადა შესაძლებელია არ იყოს საკმარისი საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასებისთვის.

5. კომისიის წევრმა, მერაბ ფოლადაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კონკურსანტისათვის დაზუსტების მოთხოვნა უკავშირდება დროში გაჭიანურებას და არსებობს რისკი, რომ შესაძლებელია კონკურსი ჩაიშალოს დაზუსტების წარმოუდგენლობის გამო.

6. კომისიის წევრმა, იური სვანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კონკურსანტისათვის დაზუსტების მოთხოვნა ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის სრულყოფილად და ძირფესვიანად შეფასებას.

კომისიამ დაადგინა:

1.წერილობით ეთხოვოს კონკურსანტს - შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკ“-ს შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დაზუსტებული ინფორმაცია: შესრულებულ კვლევაში აისახება თუ არა თბილისის ისტორიულ ნაწილში საინჟინრო-ტექნიკური (წყალსადენის, კანალიზაციის და სანიაღვრე) ქსელის მდგომარეობის შეფასება, ასევე დაზუსტდეს აღნიშნული სამუშაოს შესრულება განხორციელდება თუ არა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში.

კენჭისყრის შედეგები: ერთხმად.

შენიშვნა: აპარატის წევრი- გვანცა ბერუჩაშვილი საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა აღნიშნულ სხდომას.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - ნინო კორძახია

კომისიის წევრი - არჩილ ბარბაქაძე

კომისიის წევრი - მერაბ ფოლადაშვილი

კომისიის წევრი - დავით ნიჟარაძე

კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე

კომისიის წევრი - გიორგი მაღრაძე

კომისიის წევრი - დავით ავლოხაშვილი

კომისიის წევრი - იური სვანიძე

კომისიის წევრი - გიორგი ჭანიშვილი

აპარატის წევრი - სალომე სირბილაძე

აპარატის წევრი - სალომე სართანია

აპარატის წევრი - გურამ სოფრომაძე

დანართი N1

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის შემდეგი წევრები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში „ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებაზე (პროექტი) დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესასყიდად გამოცხადებულ N1501 კონკურსში“ მონაწილე კონკურსანტთან - შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკთან“.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - ნინო კორძახია

კომისიის წევრი - არჩილ ბარბაქაძე

კომისიის წევრი - მერაბ ფოლადაშვილი

კომისიის წევრი - დავით ნიჟარაძე

კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე

კომისიის წევრი - გიორგი მაღრაძე

კომისიის წევრი - დავით ავლოხაშვილი

კომისიის წევრი - იური სვანიძე

კომისიის წევრი - გიორგი ჭანიშვილი

14.03.2015